*<u>პროექტი</u>*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

**ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაიანე ხაჩატურიანის ქუჩის სამი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის თინა ენუქიძის შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, გაიანე ხაჩატურიანის ქუჩის სამ შესახვევს და ერთ ჩიხს მიენიჭოს თინა ენუქიძის შესახვევების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:485453 Y:4619609
X:485422 Y:4619585
X:485437 Y:4619592
X:485393 Y:4619547
X:485510 Y:4619554
X:485353 Y:4619504
X:485557 Y:4619503
X:485618 Y:4619469
X:485408 Y:4619452
X:485584 Y:4619430
X:485479 Y:4619409
X:485577 Y:4619412
X:485519 Y:4619345
N
1:1,500

my.gov.ge

"ჩემი ელექტრონული მთავრობა"

*საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“*

კორესპონდენცია წარმოებულია საჯარო უწყებებთან მიმოწერის სერვისის მეშვეობით

**№ CA0041205222119** **16.10.2020**

**ქალაქ თბილისის**
**მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**თინათინ ნიბლოშვილი**
**ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს სახელდებისა და**
**სიმბოლიკის კომისიის**
**თავმჯდომარეს**

**სათაური:** ქუჩისთვის სახელწოდების ცვლილება

**შინაარსი:** გთხოვთ ქ. თბილისში არსებულ ქუჩას „გაიანე ხაჩატურიანის ჩიხი“-ზე მოახდინოთ სახელის ცვლილება, ასევე რუქაზე შეცდომით არის დატანილი „გაიანე ხაჩატურიანის ჩიხი“, აღნიშნული არის ჩვეულებრივი ქუჩა რომელიც უერთდება იქვე მდებარე თინა ენუქიძის ქუჩას ( ძველი 1 რეხის ქუჩა) ხოლო მეორეს მხრივ გაიანე ხაჩატურიანის ქუჩას. გთხოვთ მოახდინოთ ხსენებული ქუჩის დასახელების და არსებული ჩიხის სტატუსის ცვლილება.

პატივისცემით,

**ზურაბ შაიშმელაშვილი**
პ. #: 01019017865

მობილური: +995577722505
ელფოსტა:
zura.shaishmelashvili@gmail.com

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032215231**
თარიღი: **01/06/2022**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ზურაბ შაიშმელაშვილის 2020 წლის 16 ოქტომბრის საქმე #19-032029066-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს გაიანე ხაჩატურიანის ქუჩისთვის სახელის ცვლილებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გაიანე ხაჩატურიანის შესახვევების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0122164395**
თარიღი: **13/06/2022**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 01.06.2022 წლის #03-032215231 (01.06.2022წ. #14-01221521922-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი